



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ქ.თბილისის მთავარი სამმართველო

ქ.თბილისი დიდის მასივი 2 კვ, კ. ჩალაძის ქ №1.

2011 წელი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების

სახელმწიფო შესყიდვის დოკუმენტაცია

შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს

1. **შესყიდვის ობიექტი** – შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი–ნამალადევის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება.
2. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი
3. საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 12000 (თორმეტი ათასი) ლარს.

ტექნიკური დოკუმენტაცია
ტექნიკური დავალება:

1. **შესყიდვის ობიექტი** – შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი–ნამალადევის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება.

შენობა უნდა იყოს 2 სართულიანი შემინული ფასადით, სარდაფის სართულით, გაბარიტებით არაუმეტეს 15X15 მეტრისა, სართულის სიმაღლე არანაკლები 3,60 მ, შენობის საერთო ფართი უნდა შეადგენდეს დაახლოებით 735 კვ.მ, ერთი ცენტრალური შესასვლელით.

ტერიტორიაზე ასევე უნდა განთავსდეს დამხმარე ნაგებობა, რომლის სამშენებლო ფართი უნდა შეადგენდეს დაახლოებით 50კვ/მ, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს საქვების და პერსონალისათვის ოთახების მოწყობა.

ობიექტის გეგმარებითი გადაწყვეტისათვის საჭირო მონაცემები:

სარდაფის სართული:

- ჰოლი
- ტექნიკური ოთახი
- ნივთმტკიცების ოთახი
- საიარაღო
- საერთო მოსასვენებელი
- სასადილო ოთახი

- სველი წერტილები

პირველი სართული:

- სამუშაო დარბაზი
- კაბინეტი, მოსასვენებელი ოთახით, სველი წერტილით
- დასაკითხი ოთახი
- ამოსაცნობი ოთახი

მეორე სართული:

- სამუშაო დარბაზი
- კაბინეტი, მოსასვენებელი ოთახით, სველი წერტილით
- კაბინეტი, მოსასვენებელი ოთახით, სველი წერტილით

კონკურსანტმა კონკურსზე უნდა წარმოადგინოს:

1. არქიტექტურული ნაწილი:
 - რენდერები,
 - ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები,
 - გეგმები და გენგეგმა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შეფასების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს ვიზუალური მხარე და დაგეგმარება.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ვადები

- გამარჯვებულმა კონკურსანტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) დღეში უნდა წარმოადგინოს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს:
 1. არქიტექტურული ნაწილი (მუშა ნახაზები);
 2. კონსტრუქციული ნაწილი;
 3. წყალ-კანალიზაციის პროექტი;
 4. ელექტროობის პროექტი;
 5. სუსტი-დენების პროექტი (კომპიუტერული, სატელეფონო და სატელევიზიო ქსელები);
 6. სახანძრო-სიგნალიზაციის სისტემა;
 7. ვენტილაციის პროექტი;
 8. გათბობა-კონდიციონირების პროექტი (ჩილერის სისტემით)
 9. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
 10. ხარჯთაღრიცხვა.

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს **CD** დისკზე ჩაწერილი **PDF** ფაილად.

საკონკურსო წინადადების ფასი

- საკონკურსო წინადადების ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.
- საკონკურსო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- კონკურსანტმა სატენდერო წინადადების ფასში ასევე უნდა გაითვალისწინოს ყველა იმ ხარვეზის/ნაკლის ან მოთხოვნილი ცვლილების ღირებულება, რაც შეიძლება შემსყიდველს გაუჩნდეს პროექტირების ან მშენებლობის პროცესში.

4. ანგარიშსწორების პირობები

- ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.
- ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის გაფორმებისა და შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

5. საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურებების შესახებ (კონკურსანტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების გამოცდილება);
- ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადის შესახებ;
- ორგანიზაციის სრული რეკვიზიტები, ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ასლი, (დანართი #1)

6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრიდან (ფიზიკური პირების გარდა);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა შესაბამისი უწყებიდან (შესაბამისი სასამართლოდან), რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- პირადობის მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში).

შენიშვნა: ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე.

7. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის წესი

- საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
- საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
- საკონკურსო წინადადების ფასის წარმოდგენა დასაშვებია: **მხოლოდ ლარში**
- კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

8. კონკურსში მონაწილეობის საფასური

- საკონკურსო წინადადების წარდენისათვის დაინტერესებული პირი იხდის საფასურს, რომელიც შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს
- საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მოცემულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge)
- საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
 - საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე პირი არ დაიშვება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.
 - დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას
 - დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი

- კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 21 მაისს 15:00 საათზე.
- კონკურსანტმა ქართულ ენაზე შედგენილი საკონკურსო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 21 მაისის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დიღმის მასივი 2 კვ, კ.ჩალაძის ქ #1 შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო 6-ე სართული.
- საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა არ უნდა იყოს საკონკურსო წინადადების წარმოდგენიდან 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები

10. დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო პირობებთან დაკავშირებული განმარტებების მისაღებად მიმართეთ შემდეგ მისამართზე : ქ. თბილისი დიღმის მასივი 2 კვ, კ.ჩალაძის ქ #1 შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო საკონტაქტო პირი: მიხეილ ხიდუშელი, ტელ: 41-42-74.

შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია “----” ----- 2011-- წ.

ერთის მხრივ -----

----- (შემდგომში “შემსყიდველი”)

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ -----

----- (შემდგომში “მიმწოდებელი”)

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი -----

(მომსახურების მოკლე აღწერა)

შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება და - მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე:

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში “ხელშეკრულების ღირებულება”)

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დოკუმენტაციაში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელონ მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) დღე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საგადასახადო ანგარიშფაქტურის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საგადასახადო ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში

7.4 ანგარიშსწორების ადგილი - ქ. თბილისი.

8. ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. გარანტია

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და შეწყვიტოს ხელშეკრულება

12.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2 %-ს.

12.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ)თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ურთიერთმოლაპარაკების მეშვეობით მოავარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იდენტური შინაარსის 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ორი ეგზემპლიარი რჩება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეკემის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2011 წლის ----- მდე მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

20.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

„დანართი #1”

- პრეტენდენტის იურიდიული ფირმის დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- ბანკის დასახელება:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშის ნომერი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომრები:
- ელექტრონული მისამართი:
- საკონკურსო წინადადების ფასი:
- საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

ხელმოწერა და ბეჭედი
